

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის**

ბრძანება № 01-01/23

ქ. თბილისი

06 აპრილი 2020

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლა/სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ

ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID-19) პანდემიური პრევენციის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანების „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ და 21 მარტის №1 დეკრეტის „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლი 10.6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2020 წლის 6 აპრილის წერილის საფუძველზე შემუშავებული შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლა/სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი (დანართი №1).
2. კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.
3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
4. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი**

გიორგი მათიაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში
ელექტრონული ფორმით სწავლა/სწავლების
განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი



**საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით
სწავლა/სწავლების განხორციელებისა და ადმინისტრირების წესი**

დამტკიცებულია რექტორის მიერ
ბრძანება N01-01/ 23 06 აპრილი, 2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - „წესი“) ადგენს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან „გთუნი“) საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის (გარდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული სტუდენტის) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის (შემდგომში - „პერსონალი“) ერთდროულად ყოფნას.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის არსებული ელექტრონული პლატფორმები

1. უნივერსიტეტი ელექტრონულ სწავლებას ახორციელებს სინქრონული ან/და ასინქრონული ფორმით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47⁴ მუხლის შესაბამისად. სინქრონული ფორმა გულისხმობს სწავლების პროცესში მის მონაწილეთა ერთდროულ ჩართულობას, ხოლო ასინქრონული ფორმა - პირიქით, ამ პროცესის მონაწილეთა არაერთდროულ მონაწილეობას.
2. უნივერსიტეტში ელექტრონული ასინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული იქნება გთუნი-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა gttu.ini.ge და სასწავლო პლატფორმა Moodle.
3. ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებულ იქნება ონლაინ პლატფორმა zoom.

მუხლი 3. პროცესის დაგეგმვა ელექტრონული სწავლებისათვის

1. ელექტრონული სწავლების ასინქრონული ფორმის გამოყენებით სასწავლო კურსის განმახორციელებელი ყოველკვირეულად, სააუდიტორიო მეცადინეობის ცხრილით გათვალისწინებულ დრომდე, ცალკეულ სასწავლო კურსზე რეგისტრირებულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით უგზავნის სალექციო მასალას.

2. თითოეულ სტუდენტს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურის მიერ გთუნი-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით მიწოდებათ ინფორმაცია ყველა ლექციისა თუ სემინარის თაობაზე, რომლის ჩატარებაც უნდა მოხდეს დისტანციური სერვისის „zoom“ გამოყენებით.
3. სასწავლო კურსის ხელმძღვანელი (ლექტორი) სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო კურსით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ.

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირება და მხარდაჭერის ღონისძიებები

1. სასწავლო პროცესებში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირება ევალება ფაკულტეტის ადმინისტრაციას, სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურსა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს.
2. **ფაკულტეტებმა ელექტრონული სწავლების შეუფერხებელი განხორციელებისათვის უნდა უზრუნველყოს:**
 - 1) სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობა;
 - 2) ელექტრონული სწავლების პროცესის უწყვეტობის მიზნით მომდევნო კვირის სასწავლო მასალების არაუგვიანეს მიმდინარე კვირის დასასრულს ატვირთვა;
 - 3) ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგს, რაც გულისხმობს ასინქრონული სწავლებისთვის გთუნი-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა gttu.ini.ge-ზე ატვირთული მასალების, ბმულების და სხვა განხორციელებული აქტივობის პერიოდულ შემოწმებას.
3. **სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურები უზრუნველყოფენ:**
 - 1) სასწავლო მასალის დროული ატვირთვის მონიტორინგს;
 - 2) აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების ტექნიკურ კონსულტირებას;
 - 3) ელექტრონული სწავლებისთვის აუცილებელი მასალის შემუშავებაში, დაარქივებასა და სხვა თანამდევ პროცესებში აკადემიური/მოწვეული პერსონალის დახმარებას;
 - 4) ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგს, რაც გულისხმობს ასინქრონული სწავლებისთვის სასწავლო პლატფორმაზე Moodle ატვირთული მასალების, ბმულების და სხვა განხორციელებული აქტივობის პერიოდულ შემოწმებას, ასევე სინქრონული სწავლებისას ონლაინ სწავლების პლატფორმაზე „ZOOM“ მიმდინარე ლექციებსა და სემინარებზე წვდომას და აღრიცხვას.
 - 5) ყველა სტუდენტისათვის ელექტრონული ფოსტის მისამართების შექმნას/განახლებას;

მუხლი 5. სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევა

1. ელექტრონული სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამით, სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს შეფასების რელევანტური მეთოდები, უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტთა ინფორმირებულობა და მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტთა ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების გათვალისწინება და სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდების შეთავაზება.

2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შეფასების მეთოდების შერჩევას გათვალისწინებულ უნდა იქნას:
 - 1) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფისა და ელექტრონული სწავლების შესახებ;
 - 2) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG-2015);
 - 3) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს და დისტანციურ სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებულ მეთოდურ ნაშრომები;
 - 4) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდური რეკომენდაციები „ფორმატული და შემაჯამებელი შეფასება დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესში“ (დანართი №1).

მუხლი 6. შეფასების ადაპტირებული სისტემა

1. დისტანციურ/ელექტრონული ფორმატით სწავლა-სწავლების პირობებში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს შეფასების ადაპტირებულ სისტემაზე დროებით გადასვლას.
2. **სასწავლო კურსის სწავლის შედეგი** შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას (60 ქულა) და დასკვნით გამოცდას (40 ქულა).
3. **შუალედური შეფასება- 60 ქულა**
 - 1) **ზეპირი/წერიტი გამოკითხვა (20 ქულა):** საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო კურსის განმახორციელებელმა შეცვალოს მოქმედი სილაბუსი და მოცემულ ეტაპზე გამოიყენოს შეფასების სხვა, უფრო ადაპტირებული ფორმა (ტესტი, ონ-ლაინ სინქრონული ჩატი; ონ-ლაინ დისკუსია; ამოცანა; საკონტროლო კითხვები; ქეისი/კაზუსი და სხვა). შესაფასებელი დავალებების რაოდენობა განსაზღვროს ხუთით; კომპონენტის შეფასებისთვის ლექტორმა იხელმძღვანელოს მოქმედი საშუალო არითმეტიკულის პრინციპით ან შეუძლია თითოეული აქტივობის ქულად განსაზღვროს მაქსიმალური 4 ქულა.
 - 2) **პრაქტიკული/თეორიული სამუშაო (10 ქულა):** საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო კურსის განმახორციელებელმა შეცვალოს მოქმედი სილაბუსი და მოცემულ ეტაპზე გამოიყენოს შეფასების სხვა, დისტანციური სწავლებისათვის უფრო ადაპტირებული ფორმა (მაგალითად ქეისის/კაზუსის ამოხსნა; წინასწარ მიცემული პროექტის ანგარიში; კონკრეტულ საკითხზე მასალების მოძიება, მომზადება და დასკვნის გაკეთება; წინასწარ მიცემული ტექსტის განხილვა/ანალიზი; რეფერატი; ესე და სხვა).
 - 3) **შუალედური შემოწმება (30 ქულა):** საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო კურსის განმახორციელებელმა შეცვალოს მოქმედი სილაბუსი და მოცემულ ეტაპზე გამოიყენოს შუალედური გამოცდის შეფასების ადაპტირებული ფორმა (ზეპირი გამოკითხვა; ტესტი; კომბინირებული კითხვები; კონკრეტულ საკითხზე მასალების მოძიება, მომზადება და დასკვნის გაკეთება; ამოცანების/ქეისის/კაზუსის ამოხსნა და ა.შ.).
4. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დისტანციური სწავლების პროცესში არ გამოიყენება სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს, რომ „სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ

კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას“;

5. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ 21 ქულა, რომელიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს სამივე კომპონენტში (ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, შუალედური შემოწმება) მიღებული ქულათა ჯამით.
6. **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.** საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო კურსის განმახორციელებელმა შეცვალოს მოქმედი სილაბუსი და გამოიყენოს დასკვნითი გამოცდის შეფასების ადაპტირებული ფორმა. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დარჩეს იგივე- 20 ქულა.

მუხლი 7. შეფასების ადაპტირებული ვადები

1. შექმნილი ვითარების გამო, შესასრულებელი (ზეპირი-წერიტი და თეორიულ-პრაქტიკული დავალებების) ვადებით შეზღუდვა-გაუქმდეს;
2. შუალედური შემოწმების ვადა დარჩეს უცვლელი, ხოლო დამატებითი შემოწმების ვადად განისაზღვროს პერიოდი დასკვნით გამოცდამდე ორი კვირით ადრე.
3. დასკვნითი გამოცდის ვადები დარჩეს იგივე-მე-17-მე-19 კვირა. ხოლო დამატებითი გამოცდის ვადად განისაზღვროს სასწავლო წლის დამთავრებამდე პერიოდი ერთი კვირით ადრე ან/და გადაიდოს საგანგებო მდგომარეობის გაუქმების დრომდე.
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სწავლება შეიძლება განხორციელდეს სამართლის კლინიკისა და სასწავლო ინკუბატორის ფარგლებში;
5. სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით შესაძლებელია გადაიდოს პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსების (ფაკულტეტის გადაწყვეტილებით) სწავლება და განხორციელდეს საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ.
6. სასწავლო კურსის განმახორციელებელმა უზრუნველყოს ადაპტირებული შეფასების (დაახლოებით ერთგვერდიანი) გრაფიკის მომზადება და შესაბამის დეკანატში გადაგზავნა. ლექტორის მიერ შეფასების გრაფიკი უნდა მომზადდეს ლექტორის მიერ წარმოსადგენი ადაპტირებული შეფასების გრაფიკის ნიმუშის შესაბამისად (დანართი №2).

მუხლი 8. უკუკავშირი

1. სტუდენტთა შეფასების შემდეგ მათთან უკუკავშირი უნდა განხორციელდეს გთუნ-ის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე „zoom“-ის პლატფორმის გამოყენებით.
2. უნივერსიტეტის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებისას უნდა გაითვალისწინოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის რისკები და გამოიყენოს ელექტრონული სწავლების ფორმატის შესაბამისი დავალებები და შეფასების რელევანტური საშუალებები.

მუხლი 9. სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

- 1) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
- 2) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
- 3) უნივერსიტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ სწავლების პროცესში და ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია.
- 4) გონივრულ ვადაში აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას ელექტრონული სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

2. სტუდენტი ვალდებულია:

- 1) მის ხელთ არსებული საშუალებების გამოყენებით ჩაერთოს ონლაინ სწავლებაში.

მუხლი 10. აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფლებები

1. უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს უფლება აქვს:
 - 1) მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;
 - 2) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია შესაბამისი სამსახურებიდან ელექტრონული სწავლების ფორმებისა და მეთოდების შესახებ;
 - 3) მიიღოს ზუსტი ინფორმაცია სასწავლო განრიგის მიხედვით დაგეგმილ ლექციების შესახებ;
 - 4) სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის დამატებით სხვა ფორმების გამოყენებაც.

მუხლი 11. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ვალდებულებები

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია:
 - 1) უნივერსიტეტის წინაშე ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე ჩაერთოს სწავლების ელექტრონული კომპონენტის (როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული) დანერგვის პროცესში;
 - 2) უზრუნველყოს სასწავლო კურსის ელექტრონული სასწავლო მასალების (ლექციის ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი ან ტექსტური მასალა ან power point პრეზენტაცია ხმით ან ხმის გარეშე და საკითხავი ლიტერატურა, ტექსტური, აუდიო ან ვიდეო მასალა, დავალებები და სხვ.) მომზადება;
 - 3) უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სტუდენტთა ცოდნის შემოწმება-შეფასება ელექტრონული ფორმით;

მუხლი 12. პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული სწავლების პროცესში

1. ელექტრონული სწავლება დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან და ამრიგად მნიშვნელოვანია ამ პროცესში მონაწილე პირთა, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი. ლექციების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტომასალა, მათ შორის, ე.წ. „სქრინშოთი“, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერ მათი მოსმენისას, შენახვისას და სხვა პირებისთვის გაზიარებისას.

2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვნი-ს აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ქვეყანაში არსებულ საგანგებო ვითარებაში საკუთარი სტუდენტებისათვის ელექტრონული ფორმატით მომზადებული სალექციო მასალები (პრეზენტაციები, დავალებები, ვიდეო/აუდიოლექციები) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, ანუ სტუდენტმა ჩანაწერებით უნდა ისარგებლონ მხოლოდ დანიშნულებისამებრ და არ გაუზიარონ ისინი მესამე პირებს, მათ შორის სოციალური ქსელების მეშვეობით სხვადასხვა ჯგუფების წევრებს და არ გახადოთ ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი.
3. ელექტრონული სწავლება დაკავშირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულება ეკისრება ელექტრონულ სწავლებაში ჩართულ ყველა მხარეს, დამღვევი პირი პასუხს აგებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
4. პროცესში მონაწილე ნებისმიერს პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა უკანონო ქმედებების შესახებ, უნდა აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

მუხლი 13. სასწავლო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა

1. სტუდენტებისათვის სასწავლო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით ინფორმაცია მიწოდებული უნდა იქნას უნივერსიტეტის ვებგვერდის, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. სოციალური ქსელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამატებითი ინსტრუმენტი.
2. იმ სტუდენტებს, რომლების საერთოდ ვერ ახერხებენ ელექტრონული სწავლებაში (ასინქრონული/სინქრონული) ჩართვას უფლება უნდა მიეცეთ შეიჩერონ სტუდენტის სტატუსი. ხოლო სტურენტებს რომელთათვისაც ხელმისაწვდომი არ არის უწყვეტი ინტერნეტი, რაც აფერხებს სინქრონულ სწავლებას შეეთავაზებათ სწავლების ასინქრონულ საშუალებები და შეფასების ადეკვატური ფორმები.

მუხლი 14. საბიბლიოთეკო რესურსია და სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა

1. ელექტრონული სწავლების პროცესში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებზე და სამეცნიერო ბაზებზე სტუდენტთა და პერსონალის შეუფერხებელ წვდომას.
2. სასწავლო კურსის განმახორციელებელმა ლექტორმა უნდა უზრუნველყოს მათ მიერ შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე ელექტრონული მასალის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა გათვნი-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე წესი მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით;
2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შეიძლება განხორციელდეს რექტორის ბრძანებით.

**ფორმატული და შემაჯამებელი შეფასება
დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესში**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური



ფორმატული და შემაჯამებელი შეფასება დისტანციური სწავლა- სწავლების პროცესში

მეთოდური რეკომენდაციები

შესავალი

წინამდებარე რეკომენდაციები ეფუძნება: განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) ანგარიშს ხარისხის უზრუნველყოფისა და ელექტრონული სწავლების შესახებ; უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG-2015); განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს და დისტანციურ სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებულ მეთოდურ ნაშრომებს.

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები

ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით მკაფიოდ განსაზღვრავს, შემდეგს:

- ელექტრონული სწავლება და შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ ლექციების ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებას;
- ელექტრონული სწავლების შემთხვევაში ზუსტად ისევეა საჭირო სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, როგორც პირისპირ სწავლების დროს, , მათ შორის სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების, ასევე, მატერიალური რესურსების (საბიბლიოთეკო, საინფორმაციო) გამოყენების მექანიზმები და ყოველივე აღნიშნული ადმინისტრირების წესი;
- სტუდენტის აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში, როგორც სალექციო ასევე სასემინარო მუშაობების დროს.

2. ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგია

ონლაინ სწავლება: დისტანციური განათლების ფორმაა, რომელშიც სწავლების განხორციელების ძირითადი მექანიზმია ინტერნეტი. სწავლება ხორციელდება დისტანციურად სინქრონული ან ასინქრონული გზით.

სინქრონული სწავლება: განიხილება, როგორც ტრადიციული სასწავლო პროცესი

- ყველა სტუდენტი ერთდროულად ესწრება ვირტუალურ კურსს;
- პროცესი დროით არის შემოფარგლული;
- ლექტორი უძღვება კურსს;
- გამოიყენება ვირტუალური კონფერენციები, ლაივჩატები, ვებინარები;
- სავალდებულოა მონაწილეობა.

შენიშვნა: გთუნი იყენებს სინქრონული სწავლების ამ მეთოდს.

ასინქრონული სწავლება:

- სტუდენტებს არ მოეთხოვებათ მონაწილეობდნენ სესიებში ლექტორთან ერთად;
- შეიძლება იყოს ბეჭდურ მასალაზე დაფუძნებული კურსები;
- ან ონლაინ კურსები, რომლებისთვისაც მაგალითად, სწავლების მართვის სისტემა გამოიყენება (ჩვენ შემთხვევაში - gttu.ini.ge);
- ასინქრონული სწავლება დროით არაა შემოფარგლული;
- ასეთი სწავლების მაგალითია დამოუკიდებელი სწავლა;
- ასინქრონული კომუნიკაციისთვის ყველაზე მისაღები ფორმებია იმეილი ან სადისკუსიო ფორუმი, ბლოგი და მიკრო ბლოგი.

3. ელექტრონულ რეჟიმში მუშაობის მთავარი გამოწვევა

კურსების ელექტრონულ რეჟიმში წარმართვისას მთავარი გამოწვევაა პროგრამით, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა. ამასთან დაკავშირებით კი გასათვალისწინებელია:

1. ელექტრონული სწავლების დროს გამოყენებული შეფასების მეთოდები;
2. სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა სასწავლო პროცესში;
3. ცოდნისა და უნარების ინტეგრირება ელექტრონულ სწავლებაში;
4. ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების გათვალისწინება და შესაბამისი სწავლების მეთოდების შეთავაზება;
5. პედაგოგების მიერ ზუსტად განსაზღვრა სწავლის რა შედეგები უნდა იყოს მიღწეული სტუდენტების მიერ ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებული კურსების ფარგლებში, რათა საბოლოოდ მიღწეული იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

4. პერსონალის სამუშაო დატვირთვა ელექტრონულ სწავლების პირობებში

ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლა არ ნიშნავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო დატვირთვის შემცირებას, უფრო მეტიც, საწყის ეტაპზე თანამშრომელთა დატვირთვა შეიძლება იყოს უფრო მეტი. შესაბამისად, გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი მადლობას უხდის თითოეულ პედაგოგს და თანამშრომლებს სწავლების პროცესის ინოვაციურობაში წვლილის შეტანისათვის.

5. შეფასების პრინციპები და პრობლემები ონ-ლაინ დისტანციურ განათლებაში

ონ-ლაინ დისტანციურ განათლებაზე დაჩქარებული (დროებითი) გადასვლა მოითხოვს სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის ადაპტირებას ელექტრონული სწავლების გარემოსთან.

ონ-ლაინ დისტანციური შეფასების პრინციპები

- ონ-ლაინ სივრცეში შეფასების პრინციპები არ არის განსხვავებული (მაგ., სტუდენტზე ორიენტირებულობა, სტუდენტის უფლებების დაცვა, სწავლის შედეგების მიღწევის ვალდებულება, განმავითარებელი აქტივობები, სტუდენტის მხარდაჭერა, შეფასება რელევანტური კრიტერიუმების საფუძველზე; შეფასების ობიექტურობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა და სანდოობა);
- განსხვავებულია მხოლოდ გამოყენების ხერხი, რომლითაც ხდება ამ პრინციპების განხორციელება

ონ-ლაინ დისტანციური შეფასების პრობლემები

- ავთენტურობის პრობლემა;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრობლემა;
- ტექნოლოგიური პრობლემა.

6. შეფასების მეთოდები ონ-ლაინ დისტანციურ განათლებაში

მრავალი დასავლური ნაშრომი გვთავაზობს შეფასების მეთოდოლოგიას ონ-ლაინ დისტანციურ განათლებაში (შემოთავაზებულია შეფასების 30-ზე მეტი მეთოდი). ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად რეკომენდებულია ქვემოთ მოცემული მეთოდები, რომლებიც ეფექტურია როგორც ფორმატული, ისე შემაჯამებელი

შეფასებისთვის და რომელთა გამოყენებით მინიმუმამდე შეიძლება დავიყვანოთ ავთენტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრობლემები), კერძოდ:

- **ონ-ლაინ ტესტირება დეცენტრალიზებული ლოკაციის პირობებში (მონიტორინგით);**
- **ონ-ლაინ სინქრონული ჩატი;**
- **ონ-ლაინ დისკუსია ;**
- **ქეისის/კაზუსის ამოხსნა;**
- **წინასწარ მიცემული პროექტის ანგარიში რეალურ დროში;**
- **ტექსტებზე დაფუძნებული შეფასება (მაგ. წინასწარ მიცემული ტექსტის სინქრონულად განხილვა) .**

**ამასთან გასათვალისწინებელია, რომ უნდა შეფასდეს
სასწავლო კურსის სწავლის შედეგები - ცოდნა, უნარები და
ავტონომიურობა/პასუხისმგებლობა !**

7. როგორ შევადგინოთ დავალებები, ტესტი/საგამოცდო კითხვები, რომ ვუზრუნველყოთ ავთენტურობისა და სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა?

- 1) სტუდენტის როგორც ზეპირი, ისე წერიითი ნაშრომის შეფასებისთვის (იგულისხმება მიმდინარე აქტივობები, შუალედური შემოწმება, დასკვნითი გამოცდა) მნიშვნელოვანია, რომ დავალება ისე იყოს სტრუქტურირებული, რომ არ იძლეოდეს სახელმძღვანელოს ტექსტის, ტექსტის ფრაგმენტის, დეფინიციის და ა.შ. პირდაპირი გამეორების (ანუ „შპარგალკის“ მარტივად გამოყენების) შესაძლებლობას.
- 2) დავალებები, ტესტი, საგამოცდო კითხვები უნდა იძლეოდეს ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე- ცოდნის, ან/და უნარების, ან/და პასუხისმგებლობების შეფასების შესაძლებლობას.
- 3) აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია შეკითხვების მომზადების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რომლის თანახმად არსებობს:
 - ✓ შინაარსობრივი შეკითხვები;

- ✓ შეკითხვები სიტუაციის ანალიზისთვის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოსავლენად;
- ✓ შეკითხვები უპირატესობებისა და სარგებლის გამოსავლენად;
- ✓ შეკითხვები შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებლად;
- ✓ შეკითხვები კრიტიკული ანალიზის უნარის შესაფასებლად;
- ✓ შეკითხვები ემოციების, გრძნობების გამოვლენაზე;

8. შეკითხვების ტიპების განხილვა

1) შინაარსობრივი შეკითხვები:

განკუთვნილია ფაქტების გამოსავლენად, რისთვისაც ვსვამთ შემდეგი სახის კითხვებს:

- ✓ რა ფაქტები არის ჩვენთვის ცნობილი?
- ✓ რა ინფორმაციას ვფლობთ ამ საკითხზე?
- ✓ კიდევ რა ინფორმაცია არის ჩვენთვის აუცილებელი?
- ✓ როგორ მოვიპოვოთ აუცილებელი ინფორმაცია?
- ✓ და სხვა

2) შეკითხვები სიტუაციის ანალიზისთვის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოსავლენად:

განკუთვნილია სიტუაციის გამოკვლევისკენ, არსებულ ინფორმაციაზე, იდეებსა და კონცეფციებზე დაყრდნობით, რისთვისაც ვსვამთ შემდეგი სახის კითხვებს:

- ✓ როგორ შეიძლება გავანალიზოთ შექმნილი სიტუაცია?
- ✓ რა ურთიერთკავშირები არსებობს?
- ✓ რატომ მოხდა ასე?
- ✓ რა დაგვეხმარა სიტუაციის ანალიზში /რამ შეგვიშალა ხელი?
- ✓ და სხვა

3) უპირატესობებისა და სარგებლის შეკითხვები

ამ შეკითხვების მიზანია, გამოიყოს ის დადებითი მომენტები, რომლებმაც შეიძლება გარკვეული სარგებლობა მოგვითანოს. აუცილებელია საკუთარი აზრის არგუმენტირება, იდეის განხორციელებადობის დამტკიცება.

- ✓ რა უპირატესობები, დადებითი მხარეები არსებობს?
- ✓ რატომ ღირს ამის გაკეთება?

- ✓ რა სარგებელი არსებობს?
- ✓ ვისთვის არის ეს ხელსაყრელი?
- ✓ როგორ აღმოცენდება მოცემული უპირატესობები?
- ✓ რა არის მოცემული სიტუაციის დადებითი მხარე?
- ✓ ვის მოუტანს ეს სარგებელს?
- ✓ როგორი იქნება შედეგი?

4) შეკითხვები შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებლად

ამ ტიპის შეკითხვები ახდენს ყურადღების კონცენტრაციას შემოთავაზებებსა და იდეებზე, გადაწყვეტილებების პოვნასა და ალტერნატივებზე, რისთვისაც ვსვამთ შემდეგი სახის კითხვებს:

- ✓ რა შემოთავაზებებია ამ საკითხზე?
- ✓ რა შეიძლება მოვიმოქმედოთ ამ შემთხვევაში?
- ✓ რა იდეები გვაქვს?
- ✓ არსებობს თუ არა ალტერნატიული იდეები?
- ✓ კიდევ როგორ შეიძლება მოვიქცეთ მოცემულ სიტუაციაში?
- ✓ რა დამატებითი ახსნა არსებობს?
- ✓ არის თუ არა ეს იდეა განხორციელებადი?
- ✓ რა გვერდითი ეფექტები შეიძლება წარმოიქმნას?

5) შეკითხვები კრიტიკული ანალიზის უნარის შესაფასებლად

მოცემული შეკითხვები მოწოდებულია სიტუაციის, გამონათქვამების, იდეების კრიტიკული შეფასებისათვის. ისინი იძლევა შეცდომებისგან თავის არიდების საშუალებას. მნიშვნელოვანია მტკიცების მოყვანა, შეფასებისა და კრიტიკის დასაბუთება, რისთვისაც ვსვამთ შემდეგი სახის კითხვებს:

- ✓ სწორია თუ არა ეს?
- ✓ შესაფერისია თუ არა ეს.....?
- ✓ როგორია შესაძლო პრობლემები და საფრთხეები.....?
- ✓ შეესატყვისება თუ არა განცხადებები ფაქტებს?
- ✓ შეესაბამება თუ არა იდეა ... მიზნებს, ფასეულობებს, გეგმებს, პოლიტიკას,
- ✓ ხომ არ არის აქ შეცდომა?

- ✓ შეესაბამება თუ არა ეს სინამდვილეს?
- ✓ რამდენად უსაფრთხოა ეს.....?

6) შეკითხვები ემოციების, გრძნობების გამოვლენაზე.

შეკითხვები განკუთვნილია ავტონომიურობის/პასუხისმგებლობების უნარის (ღირებულებების) შესაფასებლად.

- ✓ რას გრძნობთ მოცემული პრობლემის მიმართ?
- ✓ რა შეხედულება გაქვთ მოცემულ იდეაზე?
- ✓ რას გკარნახობთ თქვენი ინტუიცია?
- ✓ ეთანხმებით თუ არა ასეთ ვარიანტს?
- ✓ რა ემოციებს იწვევს თქვენში მოცემული გადაწყვეტილება?
- ✓ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

7) სხვა ტიპის შეკითხვები

დარგის/სფეროს/სასწავლი კურსის გათვალისწინებით, შეკითხვები შეიძლება იყოს:

- ✓ ნორმასა და დარღვევასთან დაკავშირებით;
- ✓ მითსა და რეალობასთან დაკავშირებით;
- ✓ ლოგიკასთან დაკავშირებით;
- ✓ წინადადების შევსებასთან დაკავშირებით;
- ✓ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით;
- ✓ და სხვა.

შეკითხვების განხილული ტიპები უმაღლეს სტუდენტს დამოუკიდებელი აზროვნების მოტივაციას, უბიძგებს მას სასწავლი მასალის უკეთ გააზრებისაკენ, ცოდნის დემონსტრაციისაკენ და გარკვეული პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

გასათვალისწინებელია, რომ:

- მიზეზ-შედეგობრივი კითხვები იძლევა ტრანსფერული უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- კითხვები დასაბუთებული მოსაზრების მოთხოვნით იძლევა კრიტიკული აზროვნების შეფასების შესაძლებლობას და დასკვნების უნარის შეფასების შესაძლებლობას.

- მიზანმიმართულობის, საბოლოო პროდუქტზე ორიენტირების კითხვები იძლევა ქმედებაზე ორიენტირებული უნარის შეფასების შესაძლებლობას;
- სხვა/სხვისი თვალსაზრისის განხილვის კითხვები იძლევა კრიტიკული აზროვნების შეფასების შესაძლებლობას.

9. პროექტი, როგორც შეფასების მეთოდი

პროექტის, როგორც მეთოდის განსკუთრებულობა და უპირატესობა ის არის, რომ მის ფარგლებში გააქტიურებულია პედაგოგის მთელი პროფესიული არსენალი: „ეს არის სტუდენტზე და შედეგზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც იტევს მრავალფეროვან აქტივობებსა და მიდგომებს, უვითარებს სტუდენტს საკვანძო კომპეტენციებს, ქმნის ხელსაყრელ პირობებს ბლუმის ტაქსონომიის აზროვნების ზედა დონეებზე გასასვლელად, ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობის უნარს, სტუდენტს აძლევს უსაფრთხო გარემოში იდეის საქმედ ქცევის გამოცდილებას“ .

10. მაგალითი ფორმატული შეფასებისთვის (ე.წ. აქტივობა):

აქტივობა: ონ-ლაინ ზეპირი გამოკითხვა (სინქრონული ჩატი)

1. გაქვთ თუ არა შენიშვნა რეკრეაციის ქვემოთ მოცემულ დეფინიციასთან დაკავშირებით? (დაასაბუთეთ თქვენი პასუხი)

“რეკრეაცია - (recreatio აღდგენა, დასვენება) ადამიანის საქმიანობა სამუშაოდან თავისუფალ დროს ფიზიკური და სულიერი ძალების აღსადგენად და მოსაკრებად, პიროვნების მხოლოდ სულიერი განვითარებისათვის, რომელიც ხორციელდება ძირითადად ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებით სპეციალურად განკუთვნილ ტერიტორიებზე, რომლებიც მოცილებულია მუდმივ საცხოვრებელ ადგილს”.

- დიახ
- არა

2. იმსჯელეთ რეკრეაციის დეფინიციაზე, რომელიც ეკუთვნის D.Gray-სა და D. Pelegrino-ს, რით გავს ან განსხვავდება ის სხვა დეფინიციებისაგან?

3. დააკავშირეთ რეკრეაცია ადამიანის თვითმიჯის ამადლებასთან.

4. ე. ფეირჩაილდი რეკრეაციას აფასებს, როგორც ერთგვარ „ჯილდოს“, როგორ გესმით?

5. რეკრეაციის კონცეფციების გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემული რომელი მსჯელობაა მართებული და რატომ?

- დასვენება არის ადამიანის ნებისმიერი აქტივობა, რომლის მიზანია მოგზაურობის, ჰობის, ნადირობის, თევზჭერისა და ა.შ. მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
 - დასვენება არის ადამიანის ნებისმიერი აქტივობა, რაც არ ემსახურება მოგზაურობის, ჰობის, ნადირობის, თევზჭერისა და ა.შ. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.
 - დასვენება არის ადამიანის ნებისმიერი აქტივობა, რისთვისაც აუცილებელია საცხოვრებელი ადგილის დროებით დატოვება.
 - არც ერთი
 - ყველა
- და ა.შ.**

11. დასკვნის სახით:

ზემოაღნიშნული მხოლოდ რეკომენდაციებია, ლექტორი სასწავლო კურსის კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით, თავად განსაზღვრავს სწავლების საუკეთესო მეთოდებს სტუდენტებისთვის კონკრეტულ კონტექსტში.

შეფასების კარგად განსაზღვრული მეთოდები ელექტრონული სწავლების დროს, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ სწავლის შედეგებს. მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება სასწავლო მოდელის შესაქმნელად, შეესაბამებოდეს კურსის დონესა და საგნის სფეროს.

გამოყენებული წყაროები

Lieberman M. Q&A: Toward Better Assessments in Online Courses., 2018 pdf

Meyen L.E. Assessing and Monitoring Student Progress In E-Learning Personnel Preparation Environment The Journal of the Teacher Education .2002

Rovai, A. P. "Online and traditional assessments: What is the difference?" *The Internet and Higher Education*, 3 (3). 141-151. 3rd Quarter. 2000.

Robles M. Braathen. Online Assessment Techniques. Delta Pi Epsilon Journal Volume 44, Number 1, 2002 ISSN 0011-8052



ლექტორის მიერ წარმოსადგენი ადაპტირებული შეფასების გრაფიკის ნიმუში

შეფასების ადაპტირებულ სისტემა დისტანციურ/ელექტრონული ფორმატით სწავლა-სწავლების ფორმატში	
სასწავლო კურსი	
ლექტორი	
შეფასების სისტემა	
<p>1. სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება 100 ქულით საიდანაც:</p> <ul style="list-style-type: none"> • 60 ქულა არის შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულა; • 40 ქულა არის დასკვნით გამოცდის მაქსიმალური ქულა; <p>2. შუალედური შეფასების კომპონენტებია (მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გარეშე);</p> <ul style="list-style-type: none"> • ზეპირი/წერითი გამოკითხვა (მაქსიმალური 20 ქულა, • პრაქტიკული/თეორიული სამუშაო (მაქსიმალური 10 ქულა); • შუალედური შემოწმება/გამოცდა (მაქსიმალური 30 ქულა). <p>3. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედურ შეფასებაში 31 ქულის დაგროვება;</p> <p>4. დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა).</p>	
შეფასების ადაპტირებული მეთოდები და კრიტერიუმები კომპონენტების მიხედვით	
1. ზეპირი/წერითი გამოკითხვა	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი 1. (მაგ., ქეისის ამოხსნა, ტესტი, ესე, ონ-ლაინ ჩატი, დისკუსია, ა.შ.)	ადაპტირებული კრიტერიუმები (მეთოდის შესაბამისი და მოკლედ). შენიშვნა: ადაპტირების შემთხვევაში, მინიმუმამდეა დაიყვანეთ შეფასების კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ქულების განაწილების საფეხურები (მარჯა). (იხ. ნიმუში 1.)
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი 2.	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი 3.	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი 4.	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი 5.	
*შენიშვნა: დისტანციური სწავლების პირობებში, არ არის სავალდებულო, თითოეული დავალება შეფასდეს განსხვავებული მეთოდით, თუმცა სასურველია.	
2. პრაქტიკული/თეორიული სამუშაო	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი: (მაგალითად ქეისის/კაზუსის ამოხსნა; წინასწარ მიცემული პროექტის ანგარიში; კონკრეტულ საკითხზე მასალების მოძიება, მომზადება და დასკვნის გაკეთება; წინასწარ მიცემული ტექსტის განხილვა/ანალიზი; რეფერატი; ესე და სხვა).	ადაპტირებული კრიტერიუმები (მეთოდის შესაბამისი და მოკლედ) შენიშვნა: ადაპტირების შემთხვევაში, მინიმუმამდეა დაიყვანეთ შეფასების კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ქულების განაწილების საფეხურები (მარჯა). (იხ. ნიმუში 2.)
3. შუალედური შემოწმება	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი	ადაპტირებული კრიტერიუმები
4. დასკვნითი გამოცდა	
დავალების ტიპი/შეფასების მეთოდი	ადაპტირებული კრიტერიუმები

ნიმუში 1. შეფასების კრიტერიუმები ზეპირი/წერიითი გამოკითხვის კომპონენტში:

- მოხერხებული იქნება როგორც ზეპირი (ონ-ლაინ დისკუსია,საკონტროლო კითხვებზე პასუხები, ტესტი, ქეისი და ა.შ.), ისე წერიითი დავალების შესაფასებლად.

შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა-4
კითხვა (საკითხი) მართებულადაა გააზრებული, გაცემულია ზუსტი პასუხი;	4
კითხვა (საკითხი) მართებულადაა გააზრებული, პასუხი გაცემულია მცირე ხარვეზებით;	3
კითხვა (საკითხი) არ არის ბოლომდე მართებულად გააზრებული, პასუხი არასრულია და გაცემულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით;	2
პასუხი ნაწილობრივ შეესაბამება კითხვას და გაცემულია ხარვეზებით;	1
პასუხ(ები) არ არის გაცემული.	0

ნიმუში 2. შეფასების კრიტერიუმები პრაქტიკული/თეორიული სამუშაოს კომპონენტში:

ქეისის, წინასწარ მიცემული ტექსტის განხილვა/ანალიზის, რეფერატის შეფასების შემთხვევაში:

შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა-10
ქეისის ტექსტი და მასში დასმული ამოცანა/ პრობლემა ნათლადაა გააზრებული და აღწერილი; გაანალიზებული და არგუმენტორებულია; ტერმინები გამოიყენება მართებულად; პრობლემის/ამოცანის გადაჭრის გზა დამაჯერებელია.	7-10
ქეისის ტექსტი და მასში დასმული ამოცანა/ პრობლემა გააზრებულია და აღწერილია საკმაოდ ნათლად, თუმცა აკლია ანალიზი და არგუმენტაცია; ტერმინები გამოიყენება მცირე ხარვეზებით; პრობლემის, ამოცანის გადაჭრის გზა დამაჯერებელია.	3-6
ქეისის ტექსტი და მასში დასმული ამოცანა/ პრობლემა გააზრებულია, თუმცა აღწერილი არ არის ნათლად, აკლია ანალიზი და არგუმენტაცია; ტერმინები გამოიყენება ხარვეზებით; პრობლემის, ამოცანის გადაჭრის გზა არასათანადოდ დამაჯერებელია;	1-2
დავალება შესრულებული არ არის	0

მცირე პროექტის ანგარიშის (პრეზენტაციის) შეფასების შემთხვევაში:

შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა 10
პროექტის მიზანი ნათელია, ამოცანები განსაზღვრულია; კითხვარი შემუშავებულია; კვლევა განხორციელებულია; კვლევის ანგარიში ... ფორმით წარმოდგენილია კარგად;	7-10
პროექტის მიზანი საკმაოდ ნათელია, ამოცანები განსაზღვრულია; კითხვარი შემუშავებულია; კვლევა განხორციელებულია ხარვეზებით; კვლევის ანგარიში ფორმით წარმოდგენილია დამაკმაყოფილებლად;	3-6
პროექტის მიზანი საკმაოდ ნათელია, ამოცანები განსაზღვრულია; კითხვარი შემუშავებულია; კვლევა განხორციელებულია არსებითი ხარვეზებით; კვლევის ანგარიში ფორმით წარმოდგენილია სუსტად;	1-2
პროექტის ანგარიში წარმოდგენილი არ არის.	0